



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის
სტუდენტურ სერვისები

მარნეული
2022

1. კონსულტაციები და მომსახურება პროფესიული სტუდენტის სასწავლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე

- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს საკონსულტაციო მომსახურებას, კონსულტირებას და დახმარებას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.
- კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, შედეგების დადასტურებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.
- გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების და სხვ. საკითხებზე.

2. სამედიცინო მომსახურება

- კოლეჯში სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ექიმი/ექთანი. კოლეჯის ექიმი/ექთანი ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოება.
- კოლეჯის ექიმი/ექთანი უწევს მომსახურებას/დახმარებას სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

3. ბიბლიოთეკა

- პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია მოდულურებში მითითებული სასწავლო რესურსი. სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით. კოლეჯის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამუშაო მაგიდები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში არის ასლგადამღები, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ მასალის დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.
- ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა.
- უკაბელო ინტერნეტი - Wi Fi
- კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ უკაბელო ინტერნეტით.

4. კოლეჯის ღონისძიებები

- კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს - კულტურულ-საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ, სპორტულ სხვ.

5. პროფესიული ორიენტაცია

- კოლეჯში შექმნილია სტუდენტთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ეხმარება დაინტერესებულ პირებს მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. კოლეჯი ზრუნავს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე, კარიერის სამსახური კონსულტაციებს უწევს კურსდამთავრებულებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე. კურსდამთავრებულები აღირიცხებიან შესაბამის მონაცემთა ბაზაში და კოლეჯი თვალყურს ადევნებს მათ პროფესიულ განვითარებას.

6. სტუდენტური ინიციატივები და დაფინანსება

- შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა/არაფორმალური განათლება/პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.
- კოლეჯის სტუდენტური ინიციატივები/პროექტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს, მაგრამ, შესაბამისი ინიციატივის/პროექტის სავარაუდო განხორციელების თარიღამდე ორი თვით ადრე.
- ინიციატივები/პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე კანცელარიის მეშვეობით.
- ინიციატორი/პროექტის ავტორი/ავტირთა ჯგუფი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული პროექტი ან/და სხვა საჭირო მასალა და პროექტის პრეზენტაცია.
- კოლეჯის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისი საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე/გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: 599 04 11 84

ელექტრონული მისამართი: mcollge.ge.edu@gmail.com